შაგათი, 1917 წ. 5 მარიამოგბისთვე (18) — წელიწადი მესამე — ფასი 10 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მის მართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდე, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი ერევანი მეთაურიდან წლის დასლევამდე 10 მან., 6 თვეზე 5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 1 მან. ცალკე № 10 კაპ. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 6 მინუოიდან—10 მანეთამდე—ზომით. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოუნდეს იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. **კონტორა** ღია დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათითან 7 საათამდე.

№ 171 — ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი — № 171

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ფინლიანდიის გაფიცვის კომიტეტი მოითხოვს დაუყოვნებლივ განხორციელდეს საავტონომიო კანონი და მოწვეულ იქმნას დათხოვნილი სეიმი...

კავკასიის ფრონტზე ხარფუტისა და მოსულის გეზით ოსმალთა შემოტევა დაიწყო.

პრეზიდენტი პუანკარე იტალეთის ფრონტს ეწვია.

ბალტიის ზღვაში გერმანელთა წყალქვეშამ ჩასძირა რუსის ნალმოსანი, რომელიც საზღვაო მინისტრის გემს მიჰყვებოდა.

კერენსკიმ სამადლობელო მოწოდებით მიჰმართა ყაზახ-რუსებს: თქვენა ხართ თავისუფლებისა და დემოკრატიის დამცველიო.

წერილები

მეთაური. ბრძოლა თავისუფლებისათვის ფინლიანდიაში.

მ. ადამაშვილი. ომის მეოთხე წელი.

ია ეკალაძე. თბილისისკენ და თბილისში (დასასრული).

ქართული პრესა. აფხაზეთის ვითარება.

კორესპონდენცია: სამეგრელოდან და გორიდან.

სოციალისტები კიევის საბჭოში.

დებულება დამფუძნებელ კრებისათვის.

პარიზელ ქართველთა კავშირისაგან.

გამოუთქმელ მწუხარებაში ყოფნი: მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგავაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიანი და შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, 11 ამ თვეს ქალაქ კიევში ფლოგოთ გადაცვლებას პირველი უსაყვარლესი შვილისას, შეორენი და მესამე ძმისას, მეოთხე მაზლისას და მეხუთე ცოლისძმის, სამხედრო აკიმის

ანდრო მერაბის ძე

კილასონიას

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ქალაქ ქუთაისში, შაბათს, 5 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, გენერლის ქუჩის შესახვევი საკუთარი სახლი.

4—721—4

კვირას, 6 აგვისტოს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ეკატერინე ივანეს ასულის

სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძები მისნი ვახილ და ადამ ივანეს ძენი ფორაქაშვილები.

დასაწყისი წირვისა 10 ს., პანაშვიდისა 12 ს.

2—742—1

ხელისმოწერთა და აგენტებთა საყურადღებოთ

გაზეთ „საქართველოს“ კონტორა ამით აცხადებს, რომ ხელისმოწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ და აგრეთვე აგენტებს, რომელთაც წაღებულ გაზეთების ფული არ გადაუხდიათ, 10 მარიამობისთვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ. ამიტომ კონტორა წინდაწინ გთხოვთ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა.

„საქართველო“-ზე ქუთათურ ხელის მოწერთა საყურადღებოდ.

ეურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“, რომლის საშუალებით გაზეთი „საქართველო“ ურიგდება ხელის მოწერლებს ბინებზე, ამით აცხადებს, რომ ვინც წლიურ ხვედრ ფულს **ხრულიად არ შემოიტანს კანტორაში** 10 **აგვისტომდე**, მას რედაქციის განკარგულებით გაზეთის გზავნა **მ ო ე ს ა ო ბ ა** და კანტორა დარჩენილ ფულის ანაღებად ზომას იხმარს.

5—უ—5 **კანტორა „იმერეთი“.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა **ახალ ბინაზე**, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღია ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ესთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გარდასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. **ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე. **ბესამე** ეროვნულ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან **ვ. ყიფიანთან.**

751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე **ახალ** საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე **დ. დუმბაძესთან** და კლუბის ბუჰგალტერ **კალატოზიშვილთან.**

ადვოკატი ალექსანდრეს

ირაკლი ალექსიძის ეგ

ბალანდარიშვილი

უბეროსი ეკანი თბ. **კალეტია** კორ. ბუსისა.

ბაგშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებანი **ავადმყოფებს** ნიდებს

მანგლისში

საკალეტო **კორპუსის** ბინაში

ᲔᲥᲘᲛᲘ

გ. ბ. ᲨᲣᲮᲐᲫᲔ

იღებს საღამოობით **ავადმყოფებს**

საღამოს 5-6 ს.-დეე, კვირა დღეს გარდ.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საკრებულოს საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲘᲡ

Ე. ᲘᲕ. ᲒᲚᲮᲐᲠᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲛᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ნერვიზიშვილის და **ბავშვთა** ქუჩის კუთხე № 20.

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. დ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. **შინაგანი** სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა **სუთშაბათისა.**

მისეიულის ბრეს. № 36, მეორე სართული.

ᲔᲥᲘᲛᲘ

მ. Ი. ᲨᲐᲠᲜᲐᲫᲔ

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲘ.

ᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ. **ᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ** ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ. **ᲐᲒᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ** ᲓᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ.

**

მტერთა შორის მომწყვდეულ რუმინეთს, რომელსაც მისმა მაცდურმა რუსეთმა—როგორც ეხლა გამოირკვა—განგებ მაშველი ხელი არ გაუწოდა, და როცა გაუწოდა—ისიც ინგლისის ბრძანებით—გვიანღა იყო. მარშალმა მაკენზენმა გენ. ფალკენჰაინისა და გენ. ტოშევის ჯარებით, ენკენისთან დაწყებული ოპერაცია სამხედრო ხელოვნების ნიმუშად გადააქცია და ქრისტეშობისთვის ხელთ იგდო ორი მესამედი რუმინეთისა—მდინარე სერეტამდე და მდ. დუნაის გაყოლებით შავ ზღვამდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაკენზენს რუმინელთა ჯარზე ორჯერ ნაკლები ჯარი ჰყავდა, მაგრამ მაინც ამ მცირე ძალით მან ოთხთვის მოსპო მოპირდაპირის ჯარი და ხელთ იგდო უთვალავი სიმდიდრე: ხორბალი, საკვები და ნავთი, რაიც ქვეყნისგან მოპრილ ავსტრო-გერმანეთისთვის სანატრელი დავლა იყო.

რუმინეთის სამწუხარო მაგალითმა ზნეობრივი მახვილი დაცა მოკავშირეებს, ისინი კიდევ ერთხელ და მეასეჯერ დარწმუნდნენ, რომ თუმცა რიცხვითაც და ქონებრივადაც ისინი გაცილებით უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე მოპირდაპირე, მაგრამ მათი დაქსაქსულობა და გეოგრაფიული მდგომარეობა—წყარია და უმთავრესი მიზეზი მათი მუდმივის მარცხისა.

ბ. ადამაშვილი

(დასასრული იქნება)

ქართული პრესა

აბხაზეთის ვითარება.

სოხუმის ქალაქის თავად დიდხანს ნამყოფი ბ-ნი **ნიკო თავდგირიძე**, რომელიც კარგათ იცნობს აბხაზეთის ცხოვრებას და იქაურ საქმეთა მდგომარეობას „ჩვენს ქვეყანაში“ სწერს იქ მცხოვრებ მეგრელებისა და აბხაზების განწყობილების შესახებ. წერილი არ არის თავის თავად დიდი, მაგრამ დიდია ის მნიშვნელობა, რომელიც მას ექნება საქმისათვის, თუ ჩვენ თვალი გავადეთ და ყურად ვიღეთ ის, შემდეგში ბევრი რამეს მომასწავებელი, რასაც ავტორი ასე საგულისხმოთ ასაბუთებს.

აფხაზეთშია, ამბობს ავტორი—„ჩვენებური ხალხი ჩახიზნებული არის და მოიჯარადრეებს წარმოადგენს; და ბუნებრივი წესით, ახალშენური მსვლელობის გამო თანდათან მეკვიდრდებოდა აბხაზთა მამულებზედ; 1905 წლამდე ამ მოვლენას თვით აბხაზები ხელს უწყობენ: ნათესაობა ძიძიშვილობის მეოხებით თანდათან ვრცელდებოდა აფხაზეთში მეგრელობა და უკანასკნელნი აფხაზ მემამულეებისგან ეფარეულობას პოულობდნენ.

მაგრამ 1905 წელს იქაც დაიწყო „ჩვენებური სოციალისტების ქადაგება: მიწა უსასყიდლოთ უნდა გადეცეს მიწის მუშაკსო, რაც დიდ უთანხმოებას და პოლიტიკური მოსაზრებით საწინააღმდეგო ბრძოლას იწვევს აბხაზ მემამულეთა შორის: „თუ მიწა ტყვილა დარიგდება მაშინ უმჯობესია აბხაზეთის მიწა, აბხაზეთის გლეხს ჰქონდესო და არა შემოხიზნულ მოიჯარადე მეგრელსო“.

ამ მოსაზრებით ჯერ კიდევ 1906-დან დაიწყო მეგრელ მოიჯარადრეთა დევნა: მაშინ ყოფილი ოლქის უფროსის ლევან ჯახდიერის დახმარებით ვაჩერებდით, ვანელებდით ამ ბრძოლას, მაგრამ ამ გარემოებით დიდათ ისარგებლა რუსის პოლიტიკანებმა: „ხომ ხედავთ, რუსები თქვენ მიწას გიბრუნებენ და ქართველები კი გართმევენო“; ამავე დროს სომხის პარტიული და საროწმუნოებრივი მეთაურები ასწავლიდნენ თავიანთ მოძმეებს ზედმეტი იჯარის ფული აძლიონ ბინაში აფხაზებს და არას გზით ბრძოლა არ გაბედონ მათთან. ამ გზით ჩვენი მქადაგებლების მეოხებით ჩვენი მოიჯარადრე მეგრელების დამოკიდებულება აფხაზ მემამულეებთან თანდათან მწვავდებოდა და ამავე დროს სომხების გონიერული მოქმედებით მათდამი განწყობილება უფრო უმჯობესდებოდა. ჩვენი რჩევა და ზრუნვა, მოიჯარადრე მეგრელებს სამუშაო მიწა საკუთრებად შეეძინათ, ანა თუ თანამშრომლობასა და თანაგრძნობას ვერ პოულობდა ჩვენებურ მოსოციალისტე მოღვაწეებში, არამედ სასტიკ დაბრკოლებას ხვდებოდა მათ ლოზუნგში: „მიწა უფასოდ უნდა გადაეცეს მიწის მშრომელსო“; ინნაირად აბხაზეთში ჩვენივე დაუდევრობის წიზეზით 40 ათასი ჩვენებური მოიჯარადე მეგრელების ბედი დღემდის უნუგეშო მდგომარეობაშია; ამ რევოლუციის დროსაც ცარცვა-მტაცებლობის გზას დაადგა ჩვენებური მოიჯარადრეები, მაშინ როდესაც სომხობა ერთიანორად იხდის საიჯარო ფულს. ეხლა ვიკითხოთ, ვინ უფრო წინდახედულად ირჯება? ჩვენი „ენუქას ანდერძს“ თანახმად მომქმედი სოციალისტები, თუ სომხისვე სოციალისტები, დაშნაკცაკანები, რომლებმაც ათი წლის განმავლობაში დაასახლა, დააბინავა და გაამჯიდრა აფხაზეთში თავიანთი ბოგანო, ოსმალეთიდან გადმოსვენული, აოხრებული და გაპარტახებული ხალხი. ჩვენ მჯიდით და დამუქრებით ვაშინებთ ყველას და ამიტომ ერთგულ მეკობრეებსაც ვიშორებთ, გჯარგავთ და ჩვენი მეტოქეები კი ცხოვრებრივი, გონიერის საშუალებით მოქმედობენ და კიდევაც იმარჯვებენ.

დასასრულ ავტორი სამართლიანად დასძენს—„რომ ჩვენთვის მიცილებლად საჭიროა რამე საერთო, **ერთგულ გამგებლობა**; თუ ეს საჭირო იყო თვითმპყრობელობის დროს, როცა დევნილი იყო ყოველივე სურვილი ერთობა თავისუფლების; ეხლა, როცა შესაძლებელი შეიქმნა ყოველნაირი ადამიანური უფლების მოპოება და განხორციელება, ჩვენი დანაშაულება და ისტორიული ცოდვა იქნება, თუ არ დავაარსეთ ისეთი ორგანო, დაწესებულება, რომელიც იფიქრებს და იზრუნებს ჩვენებურ არსებითად მნიშვნელოვან საქმეებზედ, გაუძღვება მათ და მომავალში აგვაცდენს ბზვრნაირ შეცდომებს და ყალბ მიმართულებას, რომელიც დაღუპვის გზაზედ აყენებს ჩვენ ხალხს.

ომიდა ზავი

დეკეშები

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 3. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** სროლაა, დვინსკის, ვილნოსა და ბარანოვიჩის მიმართულებით უფრო გაცხარებული.

რუმინეთის ფრონტი. დნესტრისა და პრუტის შუა გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. სესრეგენტის მიმართულებით ჩვენ მტრის მცემელ ბატალიონმა გურე ბერმოლუის აღმოსავლეთით მტრის ასპარეზის ერთი უბანი დაიჭირა. რუმინელთა ჯარი დრაგოსლავეკოსა-კოლოკოლნას ფრონტიდან მარიამობისთვის პირველ დამეს მონასტირეჩესკე-ვოდოშკანის ბრძოლის ხაზისკენ წამოვიდნენ. ვოდოშკანი-რაშჩიდე-სუსის ფრონტზე მარიამობისთვის 1 დამეს მტერი იერიშებს აწარმოებდა. იერიშებს ჩვენი და რუმინელების ქვეითი პოლკები იგერიებდნენ. მარიამობისთვის 2 ფოკშანის მიმართულებით გერმანელებმა შეტევა განაახლეს. ჩვენები მუნჩალიუ-მონასტიორისკენ წამოვიდნენ.

კავკასიის ფრონტი. ხორპუტის მიმართულებით მარიამობისთვის 1—1½ ბატალიონი და რამდენიმე ზარბაზნით მთა სალდუსდაგ-პალმიურის უბანში ოსმალებმა შემოტევა დაიწყეს. იერიში მოვიგერიეთ, მხოლოდ სალდუსდაგის მთის რაიონში მათ ცოტა წინ წამოიწიეს მოსსულის მიმართულებით. ჩაკოისთან ჩვენებმა ოსმალების იერიში მოიგერიეს.

ბალტიის ზღვა. მკათათვის 30. ალანის შხერების რაიონში გერმანელთა ნაღმმა აფეთქა და დაღუპა საეკადრო ნაღმოსანი „ლეიტენანტ ბურაკოვი“. დაიღუპნენ ლეიტენანტი რადლოვი და 22 მეზღვაური, დანარჩენები გადარჩნენ.

ბალტიის ზღვა. მკათათვის 30. ბოტნიის ყურეში ჩვენმა წყალქვეშმა გერმანელთა გემი ჩასძირა.

მფრინავთა მოქმედება. მკათათვის 31. ღამით ჩვენი მფრინავები კურლიანდის ნაპირებისკენ მოქმედობდნენ. ვილენის მიმართულებით ჩვენმა არტილერიამ გერმანელთა 2 მფრინავი ჩამოაგდო.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთვის 1. ოფიციალი. მოქმედება **ეგვიპეტში.** მკათათვის 26, ღამე ხიშტებით შეტევების დროს ჩვენმა პატრულებმა ოსმალებს 40 მდე კაცი მოუკლეს. ჩვენ მოვიკლეს 3, 7 უკვალოდ დაგეკარგა, დაიჭრა 12.

ლონდონი. მარიამობისთვის 2. საამირბარო იუწყება: ბრიტანელთა კონტრ-ნაღმოსანი ჩრდილო ზღვაში გერმანელთა ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. დაიღუპნენ: უფროსი, 2 ოფიცერი და 43 მეზღვაური.

ლონდონი. მარიამობისთვის 1. ოფიციალი. გუზოკურის ჩრდილოეთით და ვერმელლის აღმოსავლეთით ორ ალაგას წუხელ მტერი ხელჩართულ ბრძოლით უკანასკნელ თხრილიდან განდევნეთ. რეს აღმოსავლეთით მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ლომბარძიუდეს რაიონში მტერმა საარტილერიო ბრძოლა მეტად გააძლიერა.

ლონდონი. მარიამობისთვის 2 ოფიციალი. ვესტხეკეს აღმოსავლეთით მარიამობისთვის 1 დილით გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ. სტეენვეს მარჯვენა მხარეზე მთელ დღეს ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენი მდგომარეობა გავიუმჯობესეთ. წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე. წუხელ გერმანელები ლავანტის აღმოსავლეთით იერიშებს შეეცადნენ. აგრეთვე ნეკმიტელის აღმოსავლეთით. აქ მტერი პორტუგალელებმა მოიგერიეს.

მფრინავთა მოქმედება. ბრიტანელი მფრინავები დღეს ფოტოგრაფიულ სურათების გადაღებას განაგრძობდნენ. გერმანელთა ქვეითა ჯარს საშინელი სროლა აუტეხეს. ჩამოვაგდეთ გერმანელთა 7 ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 4. ჩვენ 2 ჰაეროპლანი გვაკლია.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. მარიამობისთვის 2. ოფიციალი. სალამოს ცნობა. ბელგიაში და მაასის ორივე ნაპირას გაცხარებული საარტილერიო სროლაა. მტრის შეტევანი სერნის აღმოსავლეთით, კარერის ტყეში და კრაონის ნაწილში, მოვიგერიეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები.

ბელგეთის ბანაკის ცნობა.

პარი. მარიამობისთვის 1. ჩვენი არტილერია მარჯვედ ესროდა მტრის ბატარეებს. მტერი გვესროდა მაღრჩობელა გაზით გატენილ ყუმბარებს.

ახალი მთავარ სარდალი.

მომქმედი ჯარი. მკათათვის 31. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლად დანიშნა გენერალი **დენიკინი.**

მთავარსარდალი კორნილოვი პეტროგრადში

პეტროგრადი. მარიამობისთვის 3. დღეს პეტროგრადში უმაღლესი მთავარსადალი კორნილოვი ჩამოვა.

ბესარაბიის ამბები

ოდესა. მარიამობისთვის 1. ენგენის დაცლის ხმები არ მართლდება. ხოტინის და ბესარაბიის ჩრდილო რაიონებში შედარებითი სიწყნარეა. პროსკუროვის ევაკუაცია შეწყდა. გაჩქარებული პურის მკა დაიწყო.

სტოკჰოლმის კონფერენცია

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტმა გაუგზავნა გენდერსონს და მაკდონალდს ლონდონში ტელეგრამა, რომელშიაც ულოცავენ ინგლისის პროლეტარიატის გადაწყვეტილებას შესახებ მონაწილეობის მღებისა სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

ინგლისში მცხოვრებ რუს ურიების გადაწყვეტილება

ლონდონი. მკათათვის 31. (დაგვიანებულია). რუსეთის ურიების მიტინგზე აღმოჩნდა 10.000 ურია მარტო ლონდონიდან, რომელთაც განაცხადეს სურვილი დაბრუნდნენ რუსეთში. ბევრი ურია, რომლებიც ცხოვრობენ ინგლისში, შევიდა ინგლისის ჯარში; მათგან ინგლისელებმა შეადგინეს ცალკე ურიების პოლკი.

გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის პოლონელთა განთავისუფლება

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. დროებითმა მთავრობამ გაანთავისუფლა და ნება დართო დაბრუნდნენ სანშობლოში ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის ქვეშევრდომი პოლონელები და გალიციანები. შეღავათი არ ეხება ჯარში გასაწვევ ახალგაზდებს.

ინგლისის ელჩის ნალაპარაკევი.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. ინგლისის ელჩს ბუქენს უთქვამს: ინგლისი ჩაერია ომში, როცა გერმანიამ დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი, რომ დაიცვას სუსტი მხარის დამოუკიდებლობა, რომლის დაცვა ნაკისრი ჰქონდა წინათვე. ჩვენ ერთად ვართ რუსეთის დემოკრატიასთან. როგორც მას, ისე ჩვენ არ გვინდა ანექსია და კონტრიბუცია, მაგრამ გერმანიამ უნდა დაამყაროს გაოხრებული ქვეყნები. ბრიტანეთის დემოკრატიას, როგორც რუსეთისას, ჰაურს ზავის დაჩქარება, მაგრამ ეს მარტო მაშინ შეიძლება, როცა დამარცხებული იქნება გერმანიის ჯარი. რუსის ჯარის-ბაცმა უნდა გული დაიმშვიდოს, ის იბრძვის არა ეგრედ-წოდებულ იმპერიალისტურ მიზნებისთვის, არამედ რევოლიუციის ხსნისათვის, რომლის ბედი გადაკავშირებულია მის სამშობლოს ბედთან. რომ შევასუსტოთ გერმანელთა შემოტევა რუსეთისა და რუმინეთის ფრონტზე, ფრანგებმა და ინგლისელებმა განაახლეს შეტევა დასავლეთის მხარეზე, რათა შეაძლებინონ რუსეთს განამტკიცოს თავისუფლება.

სტოკჰოლმის კონფერენცია და დროებითი მთავრობა.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. უცხო საქმეთა მინისტრმა ტერეშჩენკომ განაცხადა, რომ მთავრობის დამოკიდებულება სტოკჰოლმის კონფერენციასთან არ შეცვლილა. დროებით მთავრობას კონფერენცია მიაჩნია სერიოზულ პოლიტიკურ ჯგუფად და ცალკე პარტიათა აზრთა გამომთქმელად, მაგრამ მას არ შეუძლიან ხელი შეუშალოს მთავრობის თავისუფალ მოქმედებას. მოკავშირე მინისტრები, პეტროგრადში ყოფნის დროს, გამოელაპარაკნენ ალმასრულებელ კომიტეტებს და დარწმუნდნენ, რომ ესენიც სავალდებულოდ არ სთვლიან მთავრობისათვის კონფერენციის გადაწყვეტილებას. დროებითი მთავრობა ჰფიქრობს, რომ ომის საკითხები ეკუთვნის საკავშირო კონფერენციის თათბირს, რომელსაც დიპლომატებთან ერთად უნდა დაესწრნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნიც.

მიზეზი გენდერსონის გადადგომისა და ლლოიდ ჯორჯის სიტყვა.

ლონდონი, მკათათვის 31. საზოგადო პალატა. გენდერსონმა წარმოსთქვა სიტყვა იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვიეს მისი გადადგომა.—„რომ დაწვრილებით მოგახსენოთ ახლა სტოკჰოლმის კონფერენციის საკითხზე, ეს ამ ჟამად დაარღვევდა ხალხის ინტერესს. ვიტყვი მხოლოდ, რომ მე ვცდილობდი გამეკეთებინა მარტო ის, რაც შეეძლო დაჰხმარებოდა მოკავშირეთა გამარჯვებას და საპატიო მტკიცე ზავის ჩამოგდებას“. ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: „რუსეთში ცდილობენ აღადგინონ დისციპლინა ჯარში. ასეთს გარემოებაში დამღუპველია კონფერენციის მოხდენა, რომელსაც უნდა დაესწრნენ მტრის ქვეშევრდომნიც. ამ ჟამად მე საუმჯობესოდ მიმაჩნია გავჩუმდე. რუსეთი დიდს განსაცდელშია. 4 მოკავშირე სახელმწიფო შეთანხმდნენ, რომ ზავის პირობებზე მსჯელობას უნდა დაესწრნენ წარმომადგენელნი მთელი ერისა (დასასრული იქნება).

ინგლისელთა პრესა კონფერენციის შესახებ.

ლონდონი, მკათათვის 31. გაზეთები სავსეა წერილებით გენდერსონის გადადგომისა, სტოკჰოლმის კონფერენციისა და იმ მიწერ-მოწერის გამოქვეყნების შესახებ, რომელიც ყოფილა მინისტრ-თავმჯდომარესა და გენდერსონის შორის. ლიბერალური პრესა ჯერ-ჯერობით თავს იკავებს კრიტიკაზე გენდერსონის ქცევის შესახებ, უცდის მის განმარტებას, თუ რატომ არ წარმოუდგინა მუშათა კონფერენციას წერილი, რომელიც მიიღო რუსის მთავრობისაგან.

რევოლუცია

დეკეშები

გაადვილებული მართლწერა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. სახალხო განათლების მინისტრი ყველას საყურადღებოდ აცხადებს, რომ მაისის 17-ის და თიბათვის 22-ის ციტკულიარები გაადვილებულ მართლწერის შესახებ ძალაში რჩებიანო.

საქალაქო არჩევნები

პეტროგრადი. მარიამობისთვის 1. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით საქალაქო არჩევნები უკვე 276 ქალაქში მოხდა. საკუბერნიო ქალაქებში მომხდარი არჩევნები პროცენტებით ასე იხატება: მენშევიკებმა 6,4, ბოლშევიკებმა 6,6, სოციალისტ-რევოლიუციონერების 18,3, სოციალისტების ბლოკის 38,51, კადეტების 14,3, ნაციონალისტების 3,7, პარტიების გარეშეთა 12, სამაზრო და შტატ გარეშე ქალაქების არჩევნები პროცენტებით:—მენშევიკები 6, ბოლშევიკების 1,2, სოციალისტ-რევოლიუციონერების 7,5, სოციალისტების ბლოკის—23,9, კადეტების 5,5, ნაციონალურ ჯგუფების 5,7 უპარტიოთა 50,2.

შეერთებული კრება საზოგადო მოღვაწეთა

მოსკოვი. მარიამობისთვის 2. შესდგა შეერთებული კრება მოსკოვის საზოგადო მოღვაწეთა. 8 მარიამობისთვის თათბირის ინიციატორებისა ითათბირეს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მათს თათბირს მოსკოვში გახზრახულ სახელმწიფოებრივ თათბირთან.

საქალაქო გამგეობამ მიმართა მოწოდებით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაუთმონ შენობები წინასწარ თათბირებისათვის იმ ჯგუფებს, რომლებიც მოწვეულნი არიან სახელმწიფო თათბირზე. მეორე მოწოდებაში სახლების პატრონებისა და ძდგმურებისადმი, გამგეობა აცხადებს, რომ თათბირის მონაწილეთათვის მზად იქნება სადგომები.

საქალაქო არჩევნები

პეტროგრადი. მარიამობისთვის 1. ტულიდან, ორიოლიდან, პიატიგორსკიდან და ძველი ყირიმიდან იტყობინებიან შესახებ საქალაქო არჩევნებისა. ყველგან მომეტებულად გასულან სოციალისტ-რევოლიუციონერები. ტულაში და პიატიგორსკში მათ შემდეგ გასულან კადეტები, ხოლო ორიოლში სოციალდემოკრატები.

მილიციის დიწეება დონეცის მაზრაში

ნოვოჩერკასკი. მკათათვის 31. (დაგვიანებულია) თუმცა გენერალმა კალედინმა მოუწოდა მადნის-სამრეწველო კრების მონაწილეთ საერთოდ გასაჯონ საკითხი მილიციის დაწესების შესახებ დონეცის მადნებში, მადნის მუშებმა გადასწყვიტეს გარიდება. მადნის-მრეწველებმა სთხოვეს სჯარო მთავრობას დაწესონ მილიცია საერთო წესით-

შეერთებული კრება სოც.-დემოკ.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. რადგანაც 12 მარიამობისაგან დანიშნულია მოსკოვის თათბირი, საორგანიზაციო კომიტეტი სოციალ დემოკრატიის პარტიისა იწვევს შეერთებულს კრებას 18 მარიამობისთვის.

თვალ ყურის ჭერა

პეტროგრადი. მარიამობ. 2. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა საკუბერნიო და საქალაქო კომისარებს მიიღონ ზომები, რომ ტყვეები თავის ნებით არ სტოვებდნენ მიჩნილ ადგილ-საცხოვრებელს.

დათხოვნილ ჯარის-კაცების დაბრუნება ჯარში

ოდესა. მარიამობ. 1. ოლქის მთავარ-უფროსმა გასცა ბრძანება, რომ 6 მარიამობისთვემდის ყველა დათხოვნილი ჯარის კაცნი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ნაწილებში. მიზეზად დასახელებულია ფრონტის დღევანდელი მდგომარეობა და პურის მოკრეფის დასრულება. ვინც დროზედ არ გამოცხადდება, დეზერტირად იქნება ჩათვლილი.

მატროსთა ორგანიზაციის მიერ დაპატიმრებული ლეიტენანტი ბონდაო გაანთავისუფლეს მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ. გამოძიება გრძელდება.

კერენსკის მოწოდება ყაზახებისადმი

პეტროგრადი, მარიამ. 2. ბრძ.ნება ჯარისა და ფლოტისადმი. ყ ზ ახებო! მძიმე დღეებში, რომლებსაც განიცდის დღეს რუსეთი, მიელი ქვეყნის წინაშე თქვენ აჩვენეთ მაგალითი უსაზღვრო სიყვარულსა სამშობლოსადმი და ღრმა ერთგულება თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალთადმი. შფოთიან 3 და 5 მკათათვეს, როდესაც პეტროგრადში განიძახეს მოეხდინათ ბკვაშეშლილი შეთქმულება რუსეთის დიდი რევოლუციის წინააღმდეგ, თქვენ პირველსავე დაძახებაზე დროებით მთავრობისა რაინდულად გამოხვედით დარაჯად თავისუფლებისა და წესიერებისა, შეერთებულნი მტკიცე და შეგნებული დისციპლინით და სისხლიც დაანთხიეთ სატახტო ქალაქის ქუჩებზე. ფრონტზე თქვენ არ მოგიცხიათ თქვენა სახელს ლაქა მოღალატეობისა და, პირიქით, თქვენის მხნეობით მაგალითს აძლევდით სულით მდაბლებსა და მშიშარებს. თებერვლის დღეებში თქვენ პირველნი მიეხვრენით აჯანყებულ ხალხს და მას აქეთ ხართ დიმედია კვალავაც იქნებით, რევოლუციის ერთგულნი. სამშობლო დაგაფასებს თქვენს კეთილშობილ-სულის-კვეთებას. მთელი რევოლუციური არმიის სახელით გიცხადებთ მადლობას. ბრძანება წაკითხულ იქმნას ყველა როტებში, ესკადრონებში, ასეულებში, ბატარიებში და კომანდებში.

სამხედრო მინისტრი კერენსკი.

პარვუსის ბროშურა

სტოკჰოლმი. მარიამ. 2. გერმანეთში პარვუსმა ბროშურა გამოუშვა. იგი აცხადებს, რომ ის ნამდვილი რევოლუციონერია, რომ ლენინსა და ბოლშევიკების სხვა ლიდერებს ფულს კი არ აძლევდა, არამედ უფრო უარესს—ნაღვს, რომ ის სულიერად ასაზრდოებდა რუსის პროლეტარიატის რევოლუციონურ ნების-ყოფას. პარვუსი რუსეთის მთავრობას ბრალსა სდებს რევოლუციის ღალატში. დასასრულ პარვუსი აცხადებს, რომ ზავი—ერთადერთი ლოზუნგია რევოლუციონერებისა. ან ეხლავე საერთო ზავი და ან სეპარატიული. პარვუსის ბროშურის გამო „ფორვერტს“-ი შენიშნავს: იქნებ ამ ბროშურამ უფრო დიდი უსიამოვნება შეამთხვიოს რუსის მთავრობას, ვიდრე პარვუსს მთავრობის ბრალდებამ რომლის შედეგსაც იგი სრულიად აუღელვებლივ მოელის გერმანეთში.

ახალი კომისარიატები.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 2. შრომის სამინისტრომ დაარსა მიელი რიგი ახალ კომისარიატებისა, მათ შორის ვიატკაში, ტომსკში, ლიტვაში, ლიფლიანდიაში, ხერსონში, გომელში და ომაკში.

ჩრდილ-რკინის გზებზე.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა გასცა ბრძანება სამხედრო მომქმედებას რაიონების რკინის გზების საკვანძო სადგურებზე გაჩხრიკონ ხოლმე მგზავრები და თუ აღმოჩნდა დეზერტირები, დატაცებული ნივთები ჩამოართვან, ხოლო თვით გადასცენ სამხედრო სარევოლიუციო სასამართლოს.

სწავლის დაწყება.

დროებითმა მთავრობამ დააღგინა: სწავლა პეტროგრადის დაბალ სასწავლებლებში დაიწყოს პირველ ენკენისთვეს, ხოლო საშუალო სასწავლებლების პროვინციელ მოსწავლეთ ნება ეძლევათ შევიდნენ პროვინციის სასწავლებლების შესაფერს კლასებში. პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებში-კი სწავლა დაიწყება 2 ღვინობისთვეს.

დონის ყაზახთა კრება.

ნოვოჩერკასკი. მარიამობისთვის 2. გაიხსნა დონელ ყაზახთა კრება, მონაწილეობს 200 წარმომადგენელი, მათ შორის სახელმწიფო საათბიროს წევრნი: როდიჩევი, ხარლამოვი, ვორონკოვი და სხვანი. თავმჯდომარედ არჩეულია მელნიკოვი. ატამანმა კალედინმა და მისმა თანაშემწემ ბოგაევსკიმ მოახსენეს კრებას საჯარო მთავრობის მოქმედების შესახებ. როდიჩევი მიესალმა კრებას კადეტების სახელით და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ჰკიცხავდა „ბოლშევიკებს“ და ანარქისტებს მათი გასოსვლისათვის პეტროგრადში და მადლობა უთხრა ყაზახებს თავდადებულ სამსახურისთვის სამშობლოსადმი ტ მსხვერპლისთვის თავისუფლების განსამტკიცებლად. როდიჩევს სწამს, რომ ყაზახები მომავალშიაც ასე იმოქმედებენ.

კერძო ელექტრო-თეატრების მუნიციპალიზაცია.

გლაზოვი. მკათათვის 31. ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე კერძო ელექტროთეატრების მუნიციპალიზაციაზე ქალაქის ფინანსების მდგომარეობის გამოსაკეთებლად.

ყაზახების წარმომადგენელთა კონფერენციის რეზოლუცია

ნოვოჩერკასკი. მარიამობისთვის 2. ყაზახთა წარმომადგენლების კონფერენცია დასრულდა. კონფერენციაზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს: ახალ წესწყობილების მარად ერთგული და სამშობლოსა და ლაშქრის სახსნელად სისხლის მღვრელი ყაზახობა ზიზღს უცხადებს ყოველივე პროვოკაციონურ ჭორებს, ინტრიგებს და კონტრ-რევოლუციის სამსახურის ბრალდებას.—იგი არ გადუხვევს თავის ისტორიულ გზას და პირნათლად ემსახურება სამშობლოს, როგორც ბრძოლის ველზე, ისე მიდალატეთა და გამყიდველების ბრძოლაში. ბჭობა სინანულს გამოსთქვამს, რომ ციმბირის, ორენბურგის, სემირეჩინის, ზაბაიკალის, უსსურიის, ამურის და ენისეის მოძმე ყაზახთა ჯარის წარმომადგენლები არ დაესწრნენ კონფერენციას. ბჭობა მეგობრულ სალამს უძღვნის ყაზახთა ყველა პოლკებს ასკულებს, ბატარიებს და სთხოვს მტკიცედ იდგნენ სამშობლოსა და რევოლუციის ხსნის გზაზე იმ იმედით რომ შვილები და მშობლები მათ მხარს დაუჭერენ.

ეროვნული საკითხი

სოციალისტური სენატი ფინლიანდიაში

ჰელსინგფორსი. მარტის 2. გენერალ-გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა სენატის შეერთებული სხდომა. სენატორები იმ აზრზე იდგნენ, რომ კოალიციონურ სენატის არსებობა უკვე შეუძლებელია და სთხოვდნენ გენერალ-გუბერნატორს, რომ მათი სამსახურიდან გამოსვლის სურვილი და განცხადება დროებით მთავრობას აცნობოს. გენერალ-გუბერნატორმა სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე-თავმჯდომარე ტოკოის სოციალისტურ სენატის შედგენა სთხოვა. ტოკოიმ თანხმობა განაცხადა.

გაფიცვა ფინლიანდიაში

გამფიცველ კომიტეტის მოთხოვნილებანი

ჰელსინგფორსი. მარტის 2. ვალიას საწყობებში გადამალულ ერბოს პოვნის გამო აღელვების ნიადაგზე გამოწვეული კრიზისი მეტად გამწვავდა. დღის ორ საათზე სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე თავმჯდომარე ტოკოის თაოსნობით დელეგაციამ გენერალ-გუბერნატორს გფიცულთა კომიტეტის რეზოლიუციის ასლი გადასცა. რეზოლიუცია მოითხოვს სეიმის დაუყოვნებლივ მოქმედების დაწყობას და რუსის მთავრობის ჩაურევლად ფინლიანდიის უმაღლეს მთავრობის განხორციელების შესახებ მიღებულ კანონის დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანას. შემდეგ დეპუტაციაში მონაწილეთ პირადად თვით გენერალ-გუბერნატორთან მხარი დაუჭირეს ზემოხსენებულ მოთხოვნილებებს. სენატორ ტოკოიმ განაცხადა, რომ რეზოლიუციის შედგენაში არ ვმონაწილეობდიო, მაგრამ მის არსებით მნიშვნელობის ასახსნელად მოვალეო. ორ საათზე მეტი იმსჯელეს. გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომ შეუძლებელია გამფიცველთა კომიტეტის მოთხოვნილებებზე დაუყოვნებლივ პასუხის გაცემაო და დაჰპირდა, რომ მათ მოთხოვნილებას დროებით მთავრობას გადასცემს განსახილველად. დელეგაცია დროებით მთავრობის პასუხის მოცდაზე დასთანხმდა. ამასთან ტოკოიმ განაცხადა, რომ სოციალისტურ სენატის შედგენის საკითხი დროებით მთავრობის იმ პასუხზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც გამფიცველთა კომიტეტის მოთხოვნილებებზე გასცემსო.

სოციალიტ-რევოლუციონერები ფინელების შესახებ

ჰელსინგფორსი. მარტის 3. ფინლიანდიის სეიმის დამოუკიდებლად მოქმედების დაწყობის განხორციელების გამო სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანო „ნაროდნაია ნივა“ (სახ. ლოჯიკილი) სწერს: ვაფრთხილებთ ამხანაგ ფინებს, რომ ჩვენ დარჯად ვუდგეგართ რუსის რევოლუციონიურ დემოკრატიას და მის ინტერესების დარღვევას შესაძლოა საბედისწერო განხეთქილება მოჰყვესო. რუსის მთავრობის ნების წინააღმდეგ სეიმის გახსნის ყოველივე ცდა რევოლუციონურ დემოკრატიის მიმართ მტრული აქტი იქნებაო.

პალესტინის მომავალი

ლონდონში ვილსონის მიერ დანიშნული „პალესტინის კომისია“ ჩამოვიდა. კომისიაში შედიან: კონსტანტინეპოლს ყოფილი ელჩი მორგენტაუ და პროფ. ფრანკფურტერი. პარიზში და რომში მოლაპარაკების შემდეგ, (სხვათა შორის ვატიკანთან) კომისია ეგვიპტისკენ გაემგზავრება. ინგლისელთა ჟურნალი „New Europe“ ამ კომისიის ჩამასვლის გამო სწერს: „ინგლისელთა პოლიტიკა პალესტინას ინგლისის ხელში დასტოვებს. იგი ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ ებრაელებით დასახლებულ ახალშენად დარჩება. რა თქმა უნდა საფრანგეთს სირიაზე უარადღება აქვს მიქცეული, მაგრამ ეს კიდეე იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად საჭირო იყოს პალესტინის ფრანგებს ხელში გადაცემა, რომელთა ინტერესებიც სირიაში პალესტინის ებრაელთა ავტონომიურ ახალშენის დაარსებით იქნება დაცული.

პარიზელ ქართველთა კავშირისაგან

ქართველნო!

საქართველო ევროპის დიდ ყურადღებას იწვევს. პარიზელ „ქართველთა კავშირი“ რეიდროთ არის დამეგობრებული საფრანგეთის მოწინავე რესპუბლიკანელებთან. ყველანი ერთხმად ითხოვენ

თავისუფალ რესპუბლიკულ საქართველოს შეხვლას პრეზიდენტ ვილსონის მიერ წინადადებულ ერთა საზოგადოებაში.

ყოველი სხვა გვარი გარდაწყვეტა საქართველოს საკითხისა სირცხვილი იქნება ყოველ ქართველისათვის.

თავისუფალ რესპუბლიკულ საქართველოს წინააღმდეგი აქ ძველ წესწყობილობის მსახურებად ითვლებიან.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ ერთა საზოგადოებაში.

„ქართველთა კავშირი“.

პარიზი. 5 თებერვალ, 1917 წ.

ეროვნიკა

თბილისი

✦ **3 მარტამობისთვის კრებაზე** საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დაადგინა: კათოლიკოზის არჩევისათვის დელეგატების არჩევა მოხდეს 27 მარტამობისთვეს და არა 15 ს, როგორც წინად იყო გამოცხადებული. ეს დელეგატები თვითონ აირჩევენ თბილისში კათოლიკოზს. დაწვრილებითი ინსტრუქციები დაიგზავნება და გაზეთებშიაც გამოცხადდება.

✦ **თბ. არჩევნების საბოლოო შედეგი.** მოთავსებული ცნობა არჩევნების შესახებ ოდნავ შეიცვალა და ესლა უკვე დანამდვილებით გამოირკვა შემდეგი:

		ხმები	%%	ხმოსნ.
სოც.-დემ.	№ 1	38,983	50,48	50
ნაც.-დემ.	№ 2	2,880	3,73	4
სოც. რევ.	№ 3	15,407	19,95	20
დაშნაკც.	№ 4	18,482	23,93	24
სოც.ფედ.	№ 5	3,185	4,12	4
ნავლიულ.	№ 6	174	0,23	0
კონ.-დემ.	№ 7	5,140	6,67	7
მოლშევ.	№ 8	5,083	6,58	7
ებრაელ.	№ 9	1,037	1,34	1
ჰანჩაკის.	№ 10	334	0,43	0
მუსულმ.	№ 11	1,924	2,49	3
დიდუბ.	№ 12	48	0,06	0

✦ **ახალი ხმოსნების მიერ ადგილების დაკავება ქალაქის გამგეობის დარბაზში.** ხმოსნებმა სოციალისტებმა ქალაქის გამგეობაში უკვე მიიჩინეს თავ-თავიანთი ადგილები. მარცხენა მხარის უკიდურესი წვერი დაიჭირეს „მეუმრავლესეებმ“. მათ ახლოს იჯდომენიან სოციალისტ-რევოლუციონერები. მარცხენა მხარის ცენტალი ადგილი დიკავეს სოციალ-დემოკრატებმა, ხოლო მათ გვერდით „დაშნაკცუტუნები“ იჯდომენიან.

✦ **ნოტარუსებში მომუშავეთა მოთხოვნილებანი.** თბილისის ნოტარუსებში მოსამსახურეებმა ჯამაგირის მომატების შესახებ შემდეგი პირობები წარუდგინეს ნოტარუსებს: — ვინც იღებს ჯამაგირს 50 მანეთამდე, მას მიემატოს 50 პროც., ვინც ღებულობს ჯამაგირს 100 მან. ვიდრე 150 მ.-დე, მათ მოემატოთ 40 პროც., ვინც ღებულობს ჯამაგირს 150 მ.-დან ვიდრე 200 მ.-დე, მათ მოემატოს 30 პროც., ვინც ღებულობს 200 მანეთზე მეტს, მათ მოემატოს 20 პროც. მოსამსახურეთა ეს მოთხოვნილებანი ყველა ნოტარუსებმა დაეკმაყოფილა გარდა გოზენტატისა, რომელიც ამ მოთხოვნილებებში გადაჭრებებას ხედავს. ამის გამო მოსამსახურეთ სურთ მუშათა სექციას მიმართონ და გოზენტატს პირობები მიღებინონ.

✦ **ქართველთ სამხედრო კავშირის კომიტეტმა** შეგვატყობინა, რომ 20 მარტამობისთვეს დანიშნული ქართველ ჯარის-კაცთა ყრილობა სხვა და სხვა მოსაზრებით გადადებულია სხვა დროისთვის.

✦ **სურსათის მოხვლა.** მარტამობისთვის 3-ს სადგურ „თბილისზე“ მოვიდა 11 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი შაქარი.

✦ **პურის კრიზისის დასრულება.** გუშინ დამთავრდა პურის კრიზისი. სასურსათო კომიტეტმა ნიხრის აწევის ნება არ მისცა მეთორნეებს. ნიხრი ძველებური რჩება. თუ რომელიმე მეთორნე თავისი ნებით აუწევს ნიხრს, ან და საკმაო პურს არ გამოაცხობს, მაშინ ის კანონის ძალით დაისჯება.

✦ **ახალი წიგნი.** „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო რაჟ. გვეტაძის „ეთერი წიგნი“ (სნეული ლექსები) ავტორის სურათით, გამოცემა X—სა. 24 გვ. ფასი 50 კაპ.

✦ **ტრამვაის მუშაობა სწყდება.** თბილისის ქალაქის ტრამვაის დირექტორი ტახტაჯიანი აცხადებს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია თბილისში ტრამვაის მოძრაობა შესწყდეს. მიზეზი ის არის, რომ ტრამვაის აუარებელი მგზავრი აწყდება—უმთავრესად კი ჯარისკაცები, ამიტომ ტრამვაის ზედმეტს ზიდვა უხდება, რაც გამოცლის ფაქტია. ამ ამად ტრამვაის ბარკში ერთვლა გაფუჭებული ტრამვაი სდგას.

✦ **ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რათა დაეთმოს ქალაქის გამგეობას გზის გასაფართოებლად მუშტაიდის ბაღიდან 2000 ოთხკუთხა საჟენი მიწა.

კავკასია

✦ **სომეხთა ცენტრალი კომიტეტი.** სომეხთა ცენტრალ კომიტეტთან დაარსდა ეგრედ წოდებული კავკასიის საათვისტომო ეროვნიანის სახელობაზე. სათვისტომოს მიზანია გააცნოს ცენტრალ კომიტეტს ამიერ-კავკასიის ყველა ამბები. სათვისტომოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხანჯიანი, მის ამხანაგად ე. თათიანი, მწერალ თავმჯდომარედ ჰენაელიანი და ხაზინადარად მელიქიანი. ეს მაგალითი მისაბაძია ხალეთისთვისაც.

✦ **კავკავის ქალაქის არჩევნები.** საქალაქო არჩევნებში სოციალისტურმა ბლოკმა 63 ხმოსანი გაიყვანა. 18 ხმოსანი კადეტებმა გაიყვანეს. ოსების ეროვნულმა პარტიამ კი 5 კაცი.

✦ **ლტოლვილთა აღმ. კომიტეტის განკარგულება.** ვინაიდან ამ ბოლო დროს ბაქოს რაიონს აუარებელი ლტოლვილი აწყდება, ამ-ტომ ლტოლვილთა აღმასრულებელმა კომიტეტმა აკრძალა ლტოლვილთა შესვლა ბაქოში. ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილება, ის ლტოლვილთა აღმ. კომიტეტისაგან დახმარებას ვერ მიიღებს.

პროვინცია.

✦ **ს. გურჯაანი.** წარმოდგენა გურჯაანის ახლად აშენებულ თეატრში 6 მარტამობისთვეს ვ. გარრიკის რეჟისორობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება: 1) შილერის „ყაჩაღებიდან“ (უკანასკნელი მოქმედება) 2) „სიცოცხლის ერთი ცხვრი ხეირია“ გ. სუნუკანისა, „ტ-მოთეს ლეღვი“ და 4) გოგოლის „შეშლილის წერილები“.

ალბარა.

✦ **დასჯილ პარელთა დაბრუნება.** ძველი მთავრობის მიერ დასჯილი დაბრუნდნენ. დიდი მადლიერი არიან ქართველების ყველგან გვიჭირისუფლესო.

✦ **ტყვეობაში დაკარგული პარელი.** ს. რიყეთის მცხოვრები ალი-რიზა გორგაძე დაუჭირავთ სტამბოლიდან მომავალი გზაში, როგორც ძმა ამბობს მჯდარა მარტამდე ოზურგეთის ციხეში, იქიდან სად წაიყვანეს არაფერი იცის, სთხოვს ვინც რამე იცის მისი აცნობოს ხულოში იუნუს-ბეგ ბოლქვაძეს.

—

ზეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ № 170 პირველ გვერდზე, მეორე სვეტში მარჯვიდან, ქვემოდან მესამე პუნქტში დაბეჭდილია „მისდა უნებურათ“, უნდა იყოს—„მისდა გუნებისათ“.

დეგულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

დროებით მთავრობის დადგენილება.

პირველი განყოფილება.

თავი I

საერთო დებულებანი.

დამფუძნებელი კრება შესდგება იმ წევრთაგან, რომელნიც საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო წესით იქნებიან არჩეულნი. არჩევნები მოხდება პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით და პროპორციონალურ წარმომადგენლობის გამოყენებით.

2. დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევთ ქვემოხსენებული ოლქები შესდგება:

გუბერნიები: ალთაიისა, არხანგელსკისა, ასტრახანისა (თერგის ოლქის ყალმიკელებით დასახლებულ ყალმიკთა ტრამალისა და შინა ორდის ყირგიზელების გარდა), ბესარაბიისა, ვიტებსკისა, ვლადიმირსკისა, ვოლოგდისა, ვილინსკისა (მტრის მიერ დაჭერილ ადგილების გარდა), ვორონეჟისა, ვიატკისა, ეკატერინოსლავისა, ენისეისა, (ურალის მაარეში მცხოვრებ მოქალაქეებით) ირკუტსკისა, ყაზანისა, ლიფლიანდიისა (მტრის მიერ დაჭერილ კურლიანდიის გუბერნიის ნაწილებითურთ), მინსკისა (მტრის მიერ დაჭერილ ნაწილების გარდა და მტრის მიერ დაჭერილ ვილენის და კოვნოს გუბერნიების ნაწილებით), მოგილევსკისა, მოსკოვისა, (ქალ. მოსკოვის გარდა), ნოვგოროდისა, ნიჟეგოროდისა, ოლონეცისა, ორენბურგისა, ორლოვისა, პენზენისა, პერმისა, პეტროგრადისა (ქალ. პეტროგრადის გარდა) პოდოლისა, პოლტავისა, პსკოვისა, სამარისა, სარატოვისა, სიმბირსკისა, სმოლენსკისა, სტავროპოლისა (თერგის ოლქის კარნოგაისის საბოქაულოთი) თავრიდისა, ტამბოვისა, ტვერისა, ტობოლსკისა, ტომაკისა, ტულისა, უფისა, ხარკოვისა, ხერსონისა, ჩერნიგოვისა, ესტლიანდიისა და იაროსლავისა, და ოლქები: დონის ყაზახთა, ზამბაიკალისა, ზაკასპიისა, (მანგიშლაკის მაზრის გარდა, მხოლოდ ამ მაზრის თურქმენებით დასახლებულ სოფლის საზოგადოებებით), კუბანისა, სამარყანდისა, სემირეჩინსკისა, სირდარიისა, (ამუ-დარიის განყოფილების გარდა) თერგალიისა, ურალისა, (მანგიმდაკის მაზრით, თურქმენების სოფლის საზოგადოებათა გარდა), ფერგანისა და იაკუტსკისა—თვითეული საარჩევნო ოლქს შედგენენ.

პეტროგრადი და მოსკოვი თვითეული საარჩევნო ოლქად ჩითვლებიან.

ამის გარდა არსდება საარჩევნო ოლქები: **ამუ-დარიისა**, რომელშიაც შედიან სირდარიის ოლქის ამუ-დარიის ნაწილი; **ამიერ-კავკასიისა**, რომელშიაც შედის გუბერნიები: ბაქოსი, განჯისა, ქუთაისისა, თბილისისა და ერევნისა, ბათომისა, ყარსისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქები; **ყუბანი-შავიზღვისა**, რომელშიაც შედის—ყუბანის ოლქი და შავიზღვის გუბერნია; **თერგისა და დაღესტნისა**, რომელშიაც შედის ოლქები—თერგისა (გამოკლებით ყარა-ნოღაელთა საბოქაულოსი და აიმაკისა, დასახლებული ყალმიკებით) და დაღესტნისა; **სტეპნოი ოლქი** (Степной округъ), რომელშიაც შედის აკმოლინსკი და სემიპალატინის ოლქები; **ურალისა**, რომელშიაც შედის ასტრახანის გუბერნიის ნაწილი, დასახლებული შიდა ურდოს მომთაბარე ყირღიზებით; **ამურის მხრისა**, რომელშიაც შედის ამურისა, ზეისკისა და სახალინის ოლქები; **კახეთის მხრისა**, რომელშიაც შედის ნაწილი ასტრახანის გუბერნიისა, დასახლებული მომთაბარე ყალმიკებით და ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის ოლქი, რომელშიაც შედის ამ რკინის გზისთვის მიჩენილი ზოლი. რიცხვი წარმომადგენელთა განსაზღვრება ცალკე საარჩევნო ოლქები იყოს საარჩევნო ნაწილებად.

(გაგრძელება იქნება)

სოციალისტები კიევის ამოქალაქო საბჭოში

რევოლიუციის დღიდან სოციალისტებმა შეადგინეს უმრავლესობა კიევის სამოქალაქო საბჭოში და, მაშასადამე, შეეძლოთ განხორციელებინათ თავიანთი პროგრამა.

მაგრამ რას ვხედავთ?

მთელი ხუთი თვე ისხდნენ ბ.ბ. სოციალისტები საბჭოში და სრულიად

თბილისისკენ და თბილისში

განცდანი.

V.

დაღონებულმა და გულმოკლულმა გამოვსწიე შინისაკენ... არ ვიცი რად, მაგრამ ამ სისხლის წვიმებისა და მამა-პაპათა ძვლების გაყიდვის დროს, უცბად ერთმა „პრაქტიკულმა საკითხმაც“ გამოელვა თავში.

— სიტა რა დაჯდებოდა—ასეთი აურ-ზაური ფულად რომ ვიანგარიშოთ მეთქი?

— ათასი, ათი ათასი, ასი ათასი... ორასი ათასი თუმანია! თითქოს მიპასუხებდენ ქუჩები, აეტომობილები, ფანდაზები, განცხადებები, წარწერები, ხალხი, ქალები, კაცები, მთელი თბილისი.

— მერე სად იყო ამდენი ფული? ის არა სჯობდა ამ ფულით ეყიდნათ პური ღარიბებისათვის, მიეცათ წყალი მცხოვრებლებისათვის, დაეწყვინდათ და დაეუფთავებინათ ქალაქი, დაეხადებინათ ლასწავლო ნივთები ბოსწავლეთათვის, მოეგელოთ და მოეარნათ მოქალაქეთათვის? ბინდა დამეყვანოსა, მაგრამ ჩემთვის აბა ვიდას ეცალა?

არამც თუ ამოძრჩეველხი, არამედ თვით ჩვენი ყრუ ქუჩის ეფწვრილმანე სობხებიც-კი თავის პირად საქმეს აწყობდენ.

— ჰა, სედრაკ, ინჩ ხაბარე? (სედრაკ, რა ამბავია?) ეკითხებოდა ერთი სომეხი მეორეს.

— ილ ინჩ ხაბარე—ძმაჯან—ეს ტუტუც ვრაციკ მეზ ჰახტუნენ! (რადა რა ამბავია, ამ სულელმა ქართველებმა ლამის გვაჯობინ)—ვერაფერს ვერ გვაჯობებენ—ჩაუქართულა სედრაკამ—ამას ხედავ?—და თან თეთელი ბღუჯა პაკეტებისა აჩვენა.

— ვა ჯერ არ დაგირიგებია? ერთი ვნახოთ, ვინ არის შენი სიფათი! ამ სიტყვებით პაკეტები გამოართვა და ნომრები გაუშინჯა.

— ვა! ეს ვის უნენ?—პირველი ნომერი? ე, ალბელ, ეს ოვ ტვეც! ინჩუ კორცნუმეს ჰაიასკა? (შე ბრიყვო, ეს ვინ მოგცა, რათ ლუპავ სომხის გვარს) შეუტია სედრაკას ამხანაგმა.

— მაშ, რა ვქნათ? განცვიფრდა სედრაკა.

— იეს ც�ც ულიბ ჭანაპარ (მე გი ჩვენებ უკეთეს გზას) გაჯავრებით უთხრა სედრაკას, პაკეტები დაუბია და თავისი გადასცა.

ეკვი არ არის, რომ ეს ნომრები იქნებოდა № 4.

VI

მთაწმინდის ერთ-ერთ კალთაზე, ბავშვაძის ქუჩის თავზე, ბარწყვის ბუდეებსავით შეფენილი მრავალი სახლი და მათ შორის ერის სახლიც გ.—ვისა...

ძველი და ძძიმე ასასვლელია ამ სახლამდე, მაგრამ იქიდან გადმოხედვას ბოლა ეჯობია რა.

მთელი ქალაქი ხელის-გულივით იშლება თქვენს წინაშე და ფიქრი თქვენი ძალაუნებურად თავს ევლება თქვენსავე სასაბობლოს...

თვალი ვერ ძღება ქალაქის გარემოს თვალიერებით, გული ვერ იტევს გაძნობილობა ეიბრავლეს და გინდათ მთელი დღეობით, მთელი თვეობით, მთელი წლობით ადგეთ ამ პატარა სახლის ივანზე და კითხულობდეთ ცოცხალ ისტორიას მეგბერი თბილისისას; გსურთ დაუსრულებლივ გაჰყურებდეთ საქართველოს ტურფა ბუნებას, რომ იქნება აღოიკითხოთ შეცდომანი წარსულისა და გაკვეთილები ბომავალისა!..

დიად! გაჰყურებთ ამ სახლის ივანიდან თბილისის მიდამოს და გრძნობთ, რომ რაღაც დიდი დანაშაული უნდა მიუძღოდეს ჩვენ ძველებს ქართველი ხალხისადმი.

გაჰყურებთ ამ ივანიდან საქართველოს მთა-გორებს და გრძნობთ, რომ არც ახალი თაობაა უდანაშაულო თავის ერის წინაშე.

გაჰყურებთ ამ ივანიდან ივერიის ამბიბიზებულ ველებს და გწადიათ იქცეთ მგოსნად სვედისა, მდიდადებლად სამართლიანობისა, კვარცხლბეკად მომავალი ბედნიერებისა, რომ ჩვენი ზედამჩინ შემდეგში ძალიც ალარ იყოს ისე გზა ამბეული, როგორი გზა ამბეულიცა ვართ ადეს ჩვენ!

გაჰყურებთ ამ ივანიდან ჩვენი სამშობლოის გაპარტახებულ ველებს და გინდათ იქცეთ ცრემლად, ცის ნამად, მდიბარედ აღმაფეფებულად—პოეტისა არ იყოს—რომ სამშობლოს მკერდს გადარეცხოთ ენგი საუკუნოებისა, სევდა აწუხარებისა, ნ ლეტი უმეცრებისა, სულ მოკლეობა ბოსნობისა და აღტაცებით, ვეფაკაცურად შესძახო ყველა მტრებს—დაუძინებელ მტრებს ქართველი ხალხისა:

— დაგტიეთ თქვენს ქერქში, უბადრუკნო.. საქართველოს სიკვდილზე შემოქმედს ჯერ არ უფიქრიაო!

VII

არჩევნებიდან დაბრუნებული, ვიჯექი ზემო აღწერილ სახლის ივანზე და დაღონებული გავყურებდი ქალაქს...

ბინდდებოდა, ქალაქს ნელ-ნელა სიბნელე ეპარებოდა...

წყვდიადმა უკვე შთანთქა კავკასიონის ძალი ქედები, მარტყოფის მთა, გარე-კახეთის ბორცვ-გორაკები მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ ისინი ისევა სდგანან იქ, შორს, შორს, უძრავად, ამაყად, ქედ დაუხრელად. ვგრძნობდი, რომ ძალი ლამისა სამარადისოდ ვერ დაუხუჭავს მათ თვალებს, ცწყარი ბინდისა ვერ დაუძლურებს მათ სამუდამოდ. ხვალ დილით ამოვა ბზე და შარავანდედად დაადგება მათ ფიქრით დალურჯულ შუბლს, მათ მწუხარებით სავსე მკერდს.

ქალაქი-კი ყრუდ გმინავდა, გრიალებდა, ბუბუნებდა... დრო გამოშვებით გაისმოდა უსიამოვნო ღრიალ-შტვენა ავტომობილებისა, ასე ფეთიანივით რომ დაჭროლებენ ხოლმე ჩვენს უპატრონო ქალაქში, მოისმოდა ტრამვაის ზარების წკარუნიც, მოსჩანდა ჩრდილები ეტრების ბუჩქში ციმავლებისა, გამოკრთოდენ სილუეტები სალხლეებისა, წამოხრილიყვნენ ლანდები მთა-გორაკებზე შეფენილ ქოხმახებისა.

აგერ აციზციმდა ელექტრო—ერთგან, მეორეგან, მესამეგან. აპრილდა ნაკთლუხი, განათდა არსენალი, გაიღიმა დიდუბემ, გაიცინა ნაძალადევმა, შეკი გამოსცა ავლაბარმა, ქალთა კრებულად იქცა გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტები, ქალაქის გასაპირებელ ბაღ-ბაღ ანთებულ ლამპრებ ... ბ ... ...

ვერაფერი ვერ გააკეთეს ვერც ერთს დარგში ქალაქის მეურნეობისა.

მათ არა თუ არ შეუტანიათ არც ერთი პროექტი, არ შეუსწავლიათ არც ერთი საკითხი, არამედ ვერ შესძლეს და არც ცდილან შეესწავლათ ქალაქის, რაც უნდა იყოს, საკმაოდ რთული მეურნეობა. თავმომწონე ყოფაჩობით ბ.ბ. სოციალისტები მუდვრომბდნენ ყოველგვარ ბოროტებათა შესახებ საქალაქო მეურნეობაში, მაგრამ აბა თუ ერთი ბოროტ მოქმედება მაინც გამოიძიეს და დაამტკიცეს? ცნობილია, მაგალითად, რომ შუშის საქმეში ყველაფერი რიგზედ არ იყო: ხელ-შეუშლელი პარპაში ამ საქმეში ბ.ბ. იოზეფისა, მაშინისა, შკიდჩენკოსი და მათ დამკაშთა ყველასათვის აშკარა და საგრძნობი იყო, მაგრამ აბა რომელს მათგანს დაუმტკიცეს ბოროტ-მოქმედება, რომელი გადააყენეს საქმიდან? პირიქით, მსგავსად ძველი საბჭოსი, თითონაც არაფერს აკეთებენ და შუშის საქმე კვლავაც იმავე ბატონების უკანტროლო ხელში დასტოვეს!

სიტყვით გაიძახიან, რომ „მშრომელთა და ღატაკებს არც ერთი კაპიკი არ უნდა დაეღვას გადასახადიო. საქმით კი—იმით დაიწყეს თავისი პირველი მოქმედება, რასაც ძველი საბჭოც კი მოწიწებით ერიდებოდა, სახელდობრ, განუსჯელად წაუმატეს ფასი წყალსა და რაც წინად 11 კაპიკად იყო 100 ვედრა, ამათ 25 კაპიკი გახადეს. მეორე: გაადიდეს ფასი ელექტრონზე, რომლითაც ახლა სარგებლობენ მშრომელნი და წვრილი ხელოსნები. აპირებენ სატრამვაიო ბილეთების გაძვირებასაც და სხვა. სიტყვით—„იაფი და კარგი პური ხალხისთვისო“ და საქმით კი, რაც სოციალისტებმა იტვირთეს ქალაქის მესვეურობა, გირვანქა პურის ფასი, 8 კაპიკიდან 20 კაპიკზე ავიდა! და თუ პურის ფასის აწევა დამოკიდებულია საზოგადო მიზეზებზე, მისი გაუარესების მიზეზი და დამნაშავენი ხომ სრულიად სოციალისტები არიან. ამ ერმად ისეთი უვარგისი პური ცხვება მათს ფურნეებში, რომ ექიმებმა პირდაპირ აღძრეს საკითხი მისი მავნებლობისა ჯანმრთელობისათვის.

ასეთი უნუგეშო და უიმედო სურათი შეიძლება დაიხატოს ქალაქის მეურნეობის ყოველი დარგიდან, მაგრამ, გვონებთ, მოყვანილიც საკმაოდ ასურათებს ყველაფერს.

ბევრს შეგვეპირდენ: არა თუ პურსა, შუშასა, არამედ ფეხაცმელსაც და მანუფაქტურასაც, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ერთი ლერის შუშის შოვნასაც ბევრი ძებნა და დიდი შრომა სჭირია. (რ.).

გოლოვინ-ლენინის საბელზე სტოკჰოლმიდან მოსული დეპეშა.

პირველ ტყვიის მფრქვეველ პოლკის აჯანყება. მკათათვის 3—5-ს ამბების გამოძიება

3) ულიანოვ-ლენინის საბელზე სტოკჰოლმიდან მოსული დეპეშა. დეპეშას ხელს აწერს განეცკ ფიურსტენბერგი. დეპეშა შემდეგს იტყობინება: „შტეინბერგი ეცდება სუბსიდია მიიღოს ჩვენ საზოგადოებისათვის. გთხოვ კონტროლი გაუწიოთ მის მოქმედებას, რადგან მას საზოგადოებრივი ტაქტი აკლია“-ო. აქვე ალმოაჩინეს რუსის ერის კავშირის ლიტერატურა და ჟურნალ „პაუკ“-ის (ობობა) გამოცემული უთვალავი ღია წერილები, რომლებზედაც გამოხატული იყო 1882 წელს ჟენგარეთში სარწმუნოებრივ ნიადაგზე მომხდარი მკვლელობა.

კაიზერისთვის.

ამბების პროპაგანდა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სწარმოებდა და რომელმაც მკათათვის 3—ნ უკვე ნათლად იჩინა თავი, მტრის საკეთილდღეოთ იყო მოწყობილი. როგორც შემდეგ გამოირკვა ამან დიდი დახმარება აღმოუჩინა მტერს. უკვე აღმოჩენილია ის წყაროები რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანეთის სასარგებლოდ რუსეთში ჯაშუშთა დიდი ორგანიზაცია არსებობდა. ჯერჯერობით მხოლოდ შემდეგ ცნობებს მოგაწვდით.

ლენინი—გერმანელების აგენტი.

მოწმეების გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ 1917 წლის დამდეგს ზავი მეტად ესაჭიროებოდა; რომ ლენინს, შეეიცარიაში ცხოვრების დროს პარვუსთან დამოკიდებულება ჰქონდა. პარვუსს-კი განსაკუთრებითი აგენტობის რეპუტაცია ჰქონდა მოპოვებული; რომ ლენინი დადიოდა ტყე უკრაინელთა ბანაკებში და უკრაინის რუსეთიდან გამოსაყოფად პროპაგანდას ეწეოდა. ლენინის გერმანეთში მისვლისას, ყველას გასაგონად ამბობდნენ: ლენინი—ვილჰემის ელჩია. დაიცათ, ნახავთ თუ რას მოახდენენ ჩვენი ფულები“-ო.

წინასწარ გამოძიებამ დაგვიმტკიცა აგრეთვე, რომ შეუთანხმდა რა ლენინი გერმანეთის მთავრობას ისეთ მოქმედებებში რომელთაც გერმანიის ახლანდელ ომში გამარჯვებისათვის ხელი უნდა შეეწყო, იგი ჩამოვიდა პეტროგრადს და გერმანელების დამარცხებით (ფულის მხრივ) მიზნის მისაწვევად იწყო მოღვაწეობა. გერმანეთთან მიწერ-მოწერას ქალაქს სტოკჰოლმზე აწარმოებდნენ. სტოკჰოლმიდან იყო მოზრდილი ცენტრი გერმანელთა ჯაშუშების და აგიტატორებისა. ამ წლის აპრილში აქვე შეეცადნენ რომ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ აგიტაციის გასაწევად პეტროგრადში გაზეთი გამოეშვათ. რევოლუციის პირველ დღეებში კოპენგაგენისა და სტოკჰოლმის გერმანელ აგენტებმა დიდძალი ფული მიიღეს. ამასთან მათთვის რუსეთში სტოკჰოლმიდან ერთ-ერთ ბანკის საშუალებით 250,000 და 800,000 მანეთობით ფული იგზავნებოდა.

ზინოვიევი, განეცკი.

გამოირკვა აგრეთვე, რომ, როდესაც ლენინი და ზინოვიევი 1914 წელს კრაკოვის მახლობლად უცხოვრიათ, ავსტრიის მთავრობას ისინი დაუტყვსადებია, მაგრამ მალე ისევ გაუნთავისუფლებიათ და შვეიცარიაში გასვლის უფლებაც მიუნიჭებიათ. აქ ისინი სცემდნენ ჟურნალს, („სოციალ-დემოკრატ“-ი) რომლითაც იმ იდეას ავრცელებდნენ, რომ ამ ომში, რუსეთის დამარცხებაა საჭიროო. ერთ-ერთ ნომერში მოწოდებაც იყო დაბეჭდილი. მოუწოდებდნენ რუსეთის მოქალაქეებს, რომ მათ რუსეთის დამარცხებისათვის ხელი შეეწყოთ.

თურმე ზინოვიევის და ლენინის განთავისუფლებში განეცკიმ დიდი როლი შეასრულა. შემდეგში გამოირკვა, რომ მათი განთავისუფლება პრუსიერ გრაფ შტეიუბერგის პირად მიწერილობით მოხდა.

გამოძიებამ დაგვიმტკიცა, რომ განეცკი-ფიურსტენბერგ იაკობს (დამცირებითი კუბა) კოპენჰაგენში ცხოვრების დროს, გერმანეთის მთავრობის აგენტ პარვუსთან კავშირი ჰქონია.

კოზლოვსკი, პარვუსი.

გამოძიებამ დაგვიმტკიცა, რომ კოზლოვსკი კოპენგაგენში იმყოფებოდა. იგი თავის თავს კაპიტალისტ გელფანტის იურის-კონსულტად სთვლიდა. პარვუსს სახეში ჰქონია, რომ რუსეთში ერთ სანავთნო საქმის წარმოებისათვის ფულით დახმარება აღმოეჩინა. ამასთან გამოირკვა, რომ კოპენჰაგენის ერთ ერთ ბანკში გელფანტის განკარგულებაში მილიონ მანეთზე მეტი ინახებოდა. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ 1915 წ. ზაფხულში გელფანტ-პარვუსი შვეიცარიიდან—კოპენჰაგენში ფიურსტენბერგის დახმარებით მოვიდა, რომ მან ბერლინზე გამოიარა, და შემდეგშიც ფიურსტენბერგთან და კოზლოვსკისთან ერთად ხშირად იმოგზაურა. კოპენჰაგენიდან ბერლინში და ასევე ბერლინიდან კოპენჰაგენში. ამასთან კოპენჰაგენში ყოფნის დროს მასთან მიდიოდენ ბერლინიდან რამდენიმე პირნი, რომელნიც ნახულობდენ აგრეთვე კოზლოვსკისა და ფიურსტენბერგს.

სუმენსონ, კოლონტაი.

სასამართლოს მოხელეთა ხელშია რამდენიმე დეპეშა, რომლებიც გვიმტკიცებენ რომ პეტროგრადში მცხოვრებ სემენსონის, ულიანოვ-ლენინის, კოლონტაის, კოზლოვსკისა და ფიურსტენბერგ-განეცკის, გელფანტ-პარვუსის შორის მიწერ-მოწერა სწარმოებდა. მართალია მიწერ-მოწერა სხვა და სხვა კომერციულ საქმეებს, ამა თუ იმ საქონლის და ფულის გზავნას ეხება, მაგრამ გვაქვს აგრეთვე საკმაო საბუთები რომლის მიხედვითაც შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ესეთი მიწერ-მოწერა მხოლოდ ჯაშუშურ ხასიათის მიწერ-მოწერის ნიღაბია. შავა და შიგ წერილებში გვხვდება ცნობები, რომ რუსის ზოგიერთა ბანკები სკანდინავიის ბანკებიდან დიდძალ ფულს იღებდნენ სხვა და სხვა პირთა მისაცემად. მარტო სუმენსონს ნახევარი წლის განმავლობაში 150,000 მანეთი მიუღია. ეხლა კიდევ 180,000 მანეთი ირიცხება ბანკში დარჩენილად.

ბ რ ა ლ დ ე ბ ა.

დღევანდლამდის წინასწარ გამოძიებით მიღებულ ცნობებით ნ. ულიანოვ-ლენინს, ოვსეი არონოვს, ალფელბაუმ-ზინოვიევს, ალექსანდრა მიხაილის ასულ კოლონტაის, ვიაჩესლავ იურის ძე კოზლოვსკის, ევგენია მავრიკის ასულ სუმენსონს, გელფანტ-პარვუსს, იაკობ ფიურსტენბერგს (კუბა განეცკის), მიჩმან ილინს (რასკოლნიკოვს), პრაპორშჩიკ სემაშკოსა და სახაროვს, და აგრეთვე როშალს ბრალი ედებათ იმაში, რომ 1917 წელს, მტრის მიზნების განხორციელებას ხელს უწყობდნენ, კავშირი ჰქონდათ მათთან, ცდილობდნენ, რომ რუსის ჯარში და ზურგში დეზორგანიზაცია შეეტანათ და მით მტრის ჩვენდამი საწინააღმდეგო მოქმედებაში დახმარება აღმოეჩინათ. ამ საქმისთვის მტერი მათ ფულით ეხმარებოდა და ესენიც, როგორც ხალხში ეს ჯარში პროპაგანდას ეწევოდნენ მათვე მოწყეს 1917 წ. მკათათვის 3—5-ში მოხდარი სისხლის მღვრელი ამბოხება უშალელს მთავრობის წინააღმდეგ და მის ზოგიერთა წევრების შეპრობას შეეცადნენ.

პოლესპონდენცია

ხმა სამეგრელოდან

პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობა სოფლის მიმართ. სოფლის ინტერესი პოლიტიკურ საკითხებისადმი. ზოგიერთი პარტიის დემაგოგია. გამოაშკარავებული სიცრუე და აღდგენილი სიმართლე.

თანამედროვე მომენტმა სოფლის მიყურეებული და იდილიური ცხოვრება აამოძრავა და აახმაური. სოფელი დღეს ღრმა ყურადღებას იპყრობს. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების გულისყური სოფლის ხალხისკენ არის მიპყრობილი, რადგანაც სოფელი არის მტკიცე და შეურყეველი საფუძველი, ნიადაგი მათი მიზნის და იდეალის განხორციელებისა.

დღემდე მდუმარებით მოცული სოფლის ხალხი, პოლიტიკური ატმოსფერის ტალღით ამოძრავებული, ამბობს თავის სიტყვას, და ხარბად ეძიებს სამართლიან, სწორ, იმედიან გზას, რომელიც მას ბედნიერებისაკენ გაიყვანს, რომელიც შექმნის მის ერულ უზრუნველყოფას მატერიალურ სფეროში.

ხალხი, როგორც თვით ამბობდა, ნასწავლ და განათლებულ ხალხისგან ელის ხსნას და წრფელ დახმარებას.

მაინც სოფლად ჩვენ მეტად არა სასურველ სურათების და მოვლენების მხილველი და მოწმე გავხდით.

ოთხი დღე მომხდა ყოფნა სოფლად.

მომენტი დღეს ისეთია, რომ ხალხს აინტერესებს მხოლოდ პოლიტიკური საკითხები, რევოლუცია და იმის გაგება, თუ მის მდგომარეობაზე ვინ უფრო ზრუნავს. ჩამოსულის დანიშნულებას მისი აზრით შეადგენს მათთან საუბარი ამ თემაზე და აზრთა გაზიარება. ხალხის სურვილი, მოთხოვნილება ასეთია.

ჩვენ ვცანით ეს და ვიწყეთ საუბარი. გუსმენდით მათ დიდის ყურადღებით,—ეუსმენდით თუ როგორ ახასიათებდენ თავიანთ ყოფას წარსულები, როგორია დღეს მათი ყოფნის სურათი, როგორია სურვილი, აზრი, რწმენა, მოთხოვნილება მათი. დასრულდა მათი სიტყვა და შემდეგ ჩვენ ვსთხოვეთ მოესმინათ ჩვენთვისაც, მივიღეთ ხალხის სრული ნება და მივმართე მათ:

— აბზანაგო, როგორ არის აქ პარტიული საქმე მოწესრიგებული?

— ძალიან კარგად, პასუხს მაძლევს ერთი, ჩვენ ყველანი ერთი აზრისა ვართ.

— როგორ თუ ერთი აზრის?

— ისე რომ „დემოკრატიის“ პარტია ვართ.

— კეთილი მაგრამ, საქართველოს ყველა პარტიები ხომ დემოკრატიას ე. ი. ხალხს ემსახურებიან?

— აი „სოციალ-დემოკრატია ვართ“.

— ძალიან კარგი. მითხარი, აბზანაგო, აქ თქვენს სოფელში ყოფილა თუ არა როდისმე რომელიმე სხვა პარტიის წევრი, რომელსაც პროგრამა აეხსნა თქვენთვის?

— როგორ არა!

— მაგალითად, შეიძლება დასახელო ა?

— იყვნენ „თებელდარისტები“, „რევოლუციონერები“.

— მეტი არავინ?

— მეტი არავინ ყოფილა.

— მაშ თქვენ იმ პარტიების პროგრამა გეცოდინებათ?

— ვიცით.—იყო საერთო პასუხი.

— მერე არ მოგწონთ?

ისინი მიწებს გვართმევენ თურმე და ასეთი პარტია ჩვენ არ გვინდა. ჩვენ მარტო სოციალ-დემოკრატების პროგრამა მოგვწონს.

— რატომ?

— იმათმა ჩვენ „თავისუფლება“ მოგვცა.

— აბზანაგო, რატომ ეგრე ლაპარაკობ, განა სოციალ-დემოკრატებმა მოახდინეს ეს რევოლუცია, ეს ხომ ჯარმა და ხალხმა მოახდინა, ყველანი ესენი საერთოდ დემოკრატები არიან და არა სოციალ-დემოკრატები. განა ჩვენი ხალხი საერთოდ ძველი წყობილების დასამხობათ არ იბრძოდა. ხალხში ხომ ყველა ს.-დემოკრატები არ არიან.

ეს ისმინეს მათ და სცნეს რომ მართალია.

— მართლა, მითხარი, „ეროვნულ-დემოკრატების“ პროგრამის შესახებ იცით რამე?

— როგორ არა!

— საიდან, როდესაც იმათი თანამოაზრე აქ არ ყოფილა, როგორც ეს თქვენ სთქვათ?

— ჩვენ ეს ს.-დემოკრატებმა გვითხრეს.

— მაინც როგორ აგიხსნეს, რა უნდათ მათ?

და იწყება აქ საშინელი დამახინჯება ჩვენი პროგრამისა. საუბედურო მოვლენა ის არის, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეს ხალხის თვალში სავსებით დაუმახინჯებიათ ჩვენი პარტიის პროგრამა. დემაგოგიას მეტად დიდი ნაყოფი გამოუტანია მოწინააღმდეგეთა წყობიერ საკეთილდღეოთ და სცდილობს ეს აზრი ხალხში, გაისმის ის ის სოფლელის პირიდან და ღელეთითქმის საძაგელ სიტყვს წარმოადგენს ამ აზრის ერთის ცდით შერყევა.

მიუხედავათ იმისა, რომ სოფელში ჩამოსული სოც.-დემოკრატების ბელადები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ დაეშალათ ხალხი, რათა არ მოეცათ საშუალება გვეთქვა სიტყვა ჩვენს პროგრამაზე, ხალხი არ დაეშალა, რადგანაც განაცხადა სურვილი მოსმენისა და პროგრამის გაცნობის. ჩვენ ავსხენით ჩვენი პროგრამა, როგორც პოლიტიკური ისე აგრარული, და ვსცანით, რომ იქ კერძო საკუთრების დაცვის პრინციპს ღრმად აქვს ფესვი მოკიდებული. „არენდი, ეჯარა“,—ჩვენ არ გვინდა, ისმის ხალხში. „მქონდეს ორი ქცევა, ოდინ საკუთარი“,—ამბობს სოფელი. ჩვენც სწორედ ამას დავემყარეთ და ვუთხარით, რომ ამ პრინციპის ე. ი. კერძო საკუთრების მუდმივი დამცველი ვართ.

— ამას ხომ „სოციალ-დემოკრატებიც იცავენ“—ამბობს ერთი.

— მართალია, ამბანაგო, მაგრამ ჰკითხეთ თქვენს „ბელადს“ თუ სანამ დაიცავენ ისინი კერძო საკუთრებას!?

პასუხი ბუნდოვანია ხალხისთვის „დღეს ვიცავთ და ხვალ რას ჩავიდენთ ვერ გეტყვით“-ო.

აქ უკვე ხალხში ეჭვი წარმოიშვა. სჩანდა არ კოსწონდათ ეს, არც მოელოდა ასეთ პასუხს. მაგრამ ახლა ხომ სიცრუე შეუძლებელი იყო. ჩვენ მივუთითეთ იმაზე, რომ ცხოვრების სინამდვილემ დაამსხვრია ისტორიის სიტყვა მიწის შესახებ, რომ ის, როგორც წყალი და ჰაერი, საერთო კუთვნილებაა. ხალხმა ეს მიიღო, ხალხმა ისიც მიიღო, რომ საქართველოს მიწის საკითხი ავტონომიურ საქართველოს მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს. ამ რიგად სოფლელებმა გაიცვნეს ჩვენი პროგრამა და ზოგიერთის გარდა, სცნეს რომ ჩვენ არა ვართ ისეთი პარტიის ხალხი, როგორც მათ ჩვენი მოწინააღმდეგენი უხსნიდენ. სიცრუე გამოაშკარავდა. ჩვენ იმითიც მოხარულნი ვართ, რომ სოფლელების თვალში სახელ გატეხილ და დამახინჯებულ პარტიის ნამდვილი სახე აღვადგინეთ, ვამცნეთ მათ ჩვენი მიზანი, ჩვენი სიტყვა, სურვილი, ვსთქვით, რომ ჩვენი პარტია წარმოშობილია თვით ხალხის სულის კვეთებით, მისი საჭიროებით, რომ ხალხის მარადიული წყლულ-იარების განსაკურნავად მოვიდენ ეროვნულ-დემოკრატები და ხალხისთვის ეწევიან შრომას. ჩვენ ამ მცირე რამითაც დღეს კმაყოფილნი ვართ.

მ. ღ.

წერილი გორიდან

არჩევნების სამზადისი. პარტიული დემაგოგია. კავხაძის გუნდის კონცერტი

როგორც სხვა ქალაქები ისე გორიც შეუდგა არჩევნების სამზადისს და პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება მეტი მომხრეები იშოვნონ. რასაკვირველია, ასეთი მეცადინეობა მოსაწონია და წასაქეზებელიც თუ ის არ გადაიქცევა დემაგოგიათ, და პარტია თუ პიროვნება თავისი მიზნის მისაღწევად საშუალებებს გაარჩევს. სამწუხაროთ, როგორც ყოველგან, ისე ჩვენშიაც, ჩვენი ესდეკები ხშირად ღალატობენ სიმართლეს და თუ დასჭირდათ ეშმარიტებას ფეხითაც გასთელავენ. ასეთი მაგალითები ბევრია ძალიან და მათი აღნუსხვა არავისთვის საინტერესო არ არის. მაგრამ როდესაც დამახინჯების მაგალითებს გვაძლევს დამსახურებული და არა ერთხელ წამებული სოციალ-დემოკრატი, მაშინ არ შეგვიძლია ამას ყურადღება არ მივაქციოთ. საქმე იმაში გახლავთ რომ, როცა გორში ჩამოსულენს პატიოსანი ადამიანის—მარსაგოვის—ნეშთი, ანხ. ს. კ—მა სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის ცხედრის წინაშე. თავის სიტყვაში აღიარა სოციალ-დემოკრატიის დიდი ღვაწლი „თავისუფლების დამყარების“ ისტორიაში, დაახასიათა მიცვალებული როგორც ერთი თავდადებული მუშაკი პარტიისა, თან შეეხო ქალაქს არჩევნებს და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას სოციალ-დემოკრატიის პარტიაში ჩაწერილიყვნენ, წინაღმოეგ შეშთხვევაში ისინი გააძლიერებენ კონტრ-რევოლუციონერების ბანაკს... გამოდის, რომ ხსვა პარტიის თანამოაზრენი კონტრ-რევოლუციონერებია!.. აი სწორედ ეხლანდელ გამწვავებულ დროში ასეთი სიტყვების ხმარება შეუფერებელია. როდესაც ახალგაზდა უსუსური სოციალ-დემოკრატი, დემაგოგობით გატაცებული, ურცხვად გაიძახის ავტონომია ანტონიას! ბატონობაო—ეს არ გვაკვირვებს, რადგან სხვა რა იარაღი გააჩნია, რომ ამასთანავ ხერხს არ მიმართოს თავისი მიზნის მისაღწევად, მაგრამ როცა მოუფიქრებელ სიტყვებს გამოიტანს თავისი რწმენა-თვის ტანჯული ადამიანი—მას კი ეს არ ეპატიება.

რომელმა შეგნებულმა მოქალაქემ არ იცის ის უტყუარი სინამდვილე, რომ ასეთი გამოსვლები ხელს უწყობს პარტიათა გათიშვას და ეს უკანასკნელი კი რევოლუციას საფრთხეს უმზადებს. განსაკუთრებით ეს უნდა გვახსოვდეს ახლა, რადგან ამ ცოტა ხანში ქალაქის საარჩევნო ბრძოლა გაჩაღდება, და თუ ერთმანეთის ძველების ცხრილვა დავიწყეთ, ზარალის მეტს საერთო საქმეს ვერას მოგუტანთ. საჭიროა მეტი სიდინჯე და მოპირდაპირის პიროვნების პატივისცემა.

* * *

26 ივლისს გვეწვია გორში მიხ. კავსაძის გუნდი. მართალი გითხრათ საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას, რადგანაც ეს არის ეროვნული გუნდი, რომელმაც დღეს, მოსალოდნელ განთიადისას, უნდა გაგვაცნოს ჩვენი წინაპრების წყლულის გამომბატეელ ჰანგებს; მათ, გამარჯვების დროს, გმირულ შემოძახილს და რევოლუციის აღმაფრთოვანებელ საგალობლებს... მაგრამ იმედი გაგვცრუვდა. ჯერ ერთი იმით, რომ გუნდი შესდგებოდა უხმო მომღერლებისგან და მეორედ კი იმით, რომ გაგვიმასპინძლდენ ძველ და ათასნაირად გადაღეჭილ სიმღერებით.

ვისაც ცოტათი მაინც გაეგება რა ქართულ სიმხმოვანი სიმღერა-გალობისა, მან იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აქ კარგ მოძახილს (теноръ). სწორეთ კარგი მოძახილის წყალობით შეიძლება შთაბეჭდილება მოახდინოთ მსმენელებზედ, აღძრათ მასში უაღრესი და კეთილშობილური მისწრაფებანი და ჩასწვდეთ გულის საიდუმლოების უჯრებამდინ. ცნობილია, რომ ლირიკული მოძახილის პატრონი მაგრამ თანამედროვეობას ჰპოულობს მშვენიერ ქართველებად შორის და მათი გული გადუშლელი ვერ რჩება მონარნარე ხმების გვალენის ქვეშ. სამწუხაროდ გუნდის მოძახილნი ძალიან სუსტნი იყვნენ. ჯერ ერთი, რომ ხმები ნაქეფარ ადამიანის ხმას მოგაგონებდათ და მეორეთ კი ის, რომ სიმღერის დროს მომღერლებს ეჩვენებოდათ სახის და ყელის ძარღვები, რომ ყოველივე შთაბეჭდილებას აქარწყლებდენ. სხვა ხმებიც, გარდა მოძახილებისა, არა უკეთესი იყვნენ. ნუ თუ ეს არის ქართული ეროვნული გუნდი?! ნუ თუ მშვენიერ საქართველოს შვილთა შორის, რომლებიც ოდესღაც ბულბულებსაც კი ეჯიბრებოდნენ გალობაში, დღეს ეროვნულ გუნდს რომ შეეფერება ისეთი მოძახილის პატრონნი არ მოიპოვებნ?!. არი, აქ რაღაც სხვა მიზეზებია, თორემ თითოეულ ჩვენგანს შეეძლია გაიგონოს სოფლად მომღერლებისგან ისეთი ტრფლები და ვარიაციები სუფთა ანჯარა მოძახილზედ შესრულებული, რომ ბულბულ-იადონსაც კი შეშურდებათ ხოლმე.

რაც შეეხებოდა კონცერტის შინაარსს, ეს, როგორც ზევით მოვ ხსენიეთ, ძველის ძველ სიმღერებიდან შესდგებოდა. ნუ თუ ამისთანა დროისთვის არ მოგვეპოვებოდა ისეთი სიმღერები, რომლებიც აღძრავენ მსმენელებს თავისუფლების წყურვილს და სამშობლოს ხსნისთვის თავდადების სურვილს?!. როცა მხატვარი ან მომღერალი თავის ნაწარმოებს მომენტს შეეფარდებს, მაშინ ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ორკეცდება და ასე უნდა მოიქცეს ყველა ის, ვისაც სურს მიზნის მიღწევა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო ის საინტერესო სურათი, რომელსაც წარმოადგენდა ოცდაორი კაცი ერთფერ ქულაჯებში გამოწყობილი. ბევრს დამსწრეს აუტოკა გული ამ სურათმა და აღძრა მასში მისწრაფება ეროვნულ თავისებურებისაკენ.

ანმანი.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
ბატარეიდანის ვაგონები
(ფრონ ნაჩვენებია ოფიციალის)

ბათუმიდან გადის:

ბათუმისკენ	სად.	№ 3,	11.08 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20 დღ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54 ღამ.
„	სად.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13 საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ.
„	სად.	№ 4,	8.38 საღ.
ბაქო-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოდან	სად.	№ 3,	10.03 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ.
ყარს-ჯულფ.	სად.	№ 3[illegible],	8.10 დილ.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და ხალხტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წელ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წელ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილითაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა დღეა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი **დ. კვირკელია.**

კ ო მ ი ტ ე ტ ი
ქართველთა საბჭედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, ხამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

ოსმაზის მრავალფეროვნა
ძმ. ქეგველიანები
ქუჩაზის ქუჩა, ხაკოლაბა სახ., № 9, ტელეფონი № 119.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგარეო ბაზრ. „ფ. ბ. ბ. ბ